სამშობლო

ოთხშაბათი

2 მარტი

წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 299 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 299

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ტელეფონი № 76.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„სამშობლო“-ზე

ქ. ქუთაისი. **წელიწადი მეორე.** ქ. ქუთაისი.

გაზეთი გამოვა

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.** გამომცემელი ამხანაგობა **„სამშობლო“**

იასონ გაბაშვილი და მეუღლე მისი თამარ სვიმონის ასული გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს, 2 მარტს, საღამოს 6 საათზე, მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი ახლად გადაცვალებულის ქ. ახხაბადში მეირფასი დედის

დარია პავლეს ასულის გაბაშვილის

სულის მოსახსენებლათ.

68 2—2

✝

ხუთშაბათს, 3 მარტს, დილის 9 საათზე, რომის კათოლიკეთა ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი გადაცვალებულის

პავლე სტეფანეს ძის ფეიქაროვის

სულის მოსახსენებლათ, რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობართ; დამწუხრებულნი მშობლები სტეფანე პავლეს ძე და მარიამ ზაქარიას ასული ფეიქაროვები შვილებითურთ.

71 2—1

ს.|ს. **ი. გოკიელის** შვილების

ქუთაისში

ამით აუწყებს პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ

მივიღეთ ცნობილი **აბრეშუმის თესლი**

ხ. ხრისტოდულიდის.

მისამართი წერილებისთვის: ქუთაისი, სავ. სახ. ი. გოკიელის შ-ბის.

თ. დეპეშისთვის: ქუთაისი, გოკიელებს. 60

---

6 მარტს, საღამოს 7 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში დანიშნულია.

საზოგადო კრება

ქართულ საქვ. საზოგ. ქუთაისის განყოფილების.

განსახილველი საგნები:

1) გამგეობის მოქმედების ანგარიში,
2) განყოფილების მოქმედების ინსტრუქციის განხილვა,
3) არჩევნები.

70 3-1

ელექტრო **„რადიუმი“** თეატრი,

ორშაბათიდან, 29 თებერვლიდან ნაჩვენები იქნება

და ელოდება იგი მკაცრ გასამართლებას.

დრამა ცხოვრების სინამდვილე ოთხ ნაწილად, რუსეთის გამოჩენილ მსახიობთა ჩერნოვის, მიხურინისა, და ბარლოვის მონაწილეობით.

ინგლისის მეფე საფრანგეთში და ტრესი ხალასტიაკოვი.

11 კომიკური. თ.

შესასვლელი ბილეთების ფასი: **ლოჟა—85** კაპ. **1—75** კ. **2—50** კ. **3—30** კ.

მოსწავლეთათვის მეორე ალაგზე 30 კაპ. ჯარისკაცთათვის მესამე ალაგი—20 კაპ.

64

ელექტრო **„ამპირი“** თეატრი

ორშაბათიდან, 29 თებერვლიდან ნაჩვენები იქნება:

დამსხვრეული ზღაპრები.

(ბატისტის ხილსახოცი).

მეტად საყურადღებო დრამა ოთხ ნაწილად, ცნობილ მსახიობთა მონაწილეობით: ბუქსოვისა და გრილის.

ინგლისის მეფე საფრანგეთში. სასაცილო დრამა 2 ნაწ. რუდოლფისა და ჯიზეტის მონაწილეობით.

12 თ.

შესასვლელი ბილეთების ფასი: ლოჟა—85 კ. 1—75 კ. 2—50 კ. 3—30 კ.

მოსწავლეთათვის მეორე ალაგი 30 კ. ჯარისკაცთათვის მესამე ადგილი 20 კ.

---

13 მარტს, ქუთაისის ქართულ თეატრში გაიმართება

შიოს დილა.

შიო მღვიმელის იუბილეს მომწყობი კომისია აუწყებს იმ პირთ და დაწესებულებებს, ვისაც სურთ მონაწილეობა მიიღონ, ჩაეწერონ ქუთ. ქალაქის ქალთა ორკლასიანი სასწავლებლის გამგესთან 11 მარტამდი, გენერლის ქუჩაზე. გამგის ნახვა შეიძლება 12—3 საათამდი.

რეპეტიცია დანიშნულია **სად. 5 მარტს,** ქალაქის თეატრში, 4 საათზე. ბილეთები გაიყიდება 10 მარტიდან თეატრის კასაში.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მეჭეჭებს, ნაოჭებს, პორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი.

3 თ

ექიმი **ა. მ. ასათიანი.** განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა დ. ბალახვანის ქ. კუთხე, სახ. № 3. თ. 11

ექიმი **ი. ჩარქვიანი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 — საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლვოვშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

1 თ.

ექიმი **გაბრიელ იოსების ძე გოკიელის**

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. **ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი.** თ. 2

ექიმი **შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევს 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის სახლი № 46

14 ტელეფონი № 87 თ.

უმაღლეს მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

დასავლეთის ასპარეზი.

რიგის რაიონში ჩვეულებრივი სროლა და მზვერავთა შეტაკებაა. გერმანელთა ჯავშნიანი ავტომობილი შეეცადა რუსების თხრილებზე იერიშის მიტანას, მაგრამ რუსთა არტილერიამ უკან გააბრუნა. იქსკულის მიდამოში გერმანელები ცდილობდენ სოფ. ბერკოვიცთან მოახლოებას, მაგრამ რუსებმა განდევნეს. იაკობშტადტის მიმართულებით გერმანელები სად. ზელბრიეგეს და დვინის ფრონტზე დიდი საარტილერიო ბრძოლა ხდებოდა.

გალიცია. კალკის ჩრდილო-აღმოსავლეთით და მდინარე სტრიპის ნაპირებთან, რუსებმა წვრილმან შეტაკების დროს 80 კაცი წამოიყვანეს ტყვეთ.

კავკასიის ასპარეზი.

მდინარე კოლაპეტამოსის მიდამოში რუსებმა ოსმალნი შეავიწროვეს. სპარსეთში ქერმანშაჰის ოპერაციის წარმოების დროს რუსებმა ხელთ იგდეს რვა მძიმე სასროლი იარაღი.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ვერდენთან ბრძოლა.

„რუსკია ვედომოსტის“ სამხედრო მიმომხილველს, ა. ოგლინის აზრით, გერმანელებმა ვერდენთან ბრძოლის გეგმა 24 თებერვლიდან სრულიად შესცვალეს. მიმომხილველის ცნობით, გერმანელებს უნდოდათ, რაც შეიძლება მალე, პირდაპირი იერიშით აეღოთ ვერდენი, მაგრამ, როცა დარწმუნდენ, რომ ეს მათგან მეტად დიდ მსხვერპლს მოითხოვს და მასთან პირდაპირი იერიშით ვერდენის აღება შეუძლებელიც არის, ბრძოლა თითქო შეაჩერეს და მერე ისევ წინანდებური ენერგით ეკვეთენ პოზიციებს, მხოლოდ ახლა სხვა მხრიდან და სხვა გეგმით.

„გერმანელების ებლანდელი გეგმა საკმაოთ აშკარავდება. წინად თუ მათ ვერდენის აღება პირდაპირი სწრაფი იერიშით უნდოდათ, ახლა მიხვეულ-მოხვეულ გზას არჩევენ, არც ჩქარობენ და სხვა და სხვა ფანდებით სცდილობენ ციხე-ქალაქი ფრანგების ჯარის მთავარ ხაზს მოსწყვიტონ, დააშორონ. რამდენათ შეასრულებენ ამ გეგმას, ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს, ახლა კი მხოლოდ აშკარაა ის, რომ მათ პირველათ მოფიქრებული გეგმა ვერ გაატარეს და იძულებული გახდენ ახალს და უფრო რთულს ოპერაციებს შესდგომოდენ“.

საფრანგეთისაკენ.

კოპენჰაგენიდან იუწყებიან, რომ კელნსა და აახენში გერმანელები მატარებლებით დატვირთულ მძიმე ზარბაზნებს განუწყვეტლივ ეზიდებიან (ალბათ შესაკეთებლათ); ამასთან ახალ-ახალი ჯარებით სავსე მატარებლებს საფრანგეთისაკენ შეუჩერებლივ გზავნიან. ჯარები თითქმის სულ მოზარდებისაგან არის შემდგარი.

გერმანელების ნადავლი.

ამას წინათ ბერლინში გამოაქვეყნეს სია იმ ნადავლისა, რომელიც გერმანიის ლაშქარს მარტო ევროპის ფრონტზე უშოვნია. ამ ანგარიშით, გერმანელებს წაუყვანიათ ტყვეთ სულ 1,421,971 კაცი. მტრებისათვის წაურთმევიათ: 9,700 ზარბაზანი, 3,000 ტყვიისმფრქვეველი, 1,300 ვინტოვკა და 7,900 ყუთი ყუმბარებითა და პატრონებით სავსე. ამ რიცხვში არ ითვლება ის იარაღები და ტყვიაწამალი, რაც უვარგისობის გამო ბრძოლის ველზე დასტოვეს.

ენვერ-ფაშის მდგომარეობა

ბუქარესტიდან იტყობინებიან ბერლინიდან მოსული ცნობებით, ენვერ-ფაშაზე თავდასხმის ამბავი და მისი მოკვლა ტყუილია. ენვერი ოსმალეთის მეოთხე არმიის უფროსთან, ჯემალთან ერთად ამ დღეებში იერუსალიმს გაემგზავრა. ენვერს იქ ომარის მეჩეთში ოსმალეთის სამღვდელოება დიდი ამბით მიეგება. ენვერი საბერძნეთის პატრიარქმაც ინახულა. დალოცვა-კურთხევით მოიხსენა, რადგან მან ბერძნებთან დამოკიდებულება დიდათ გაუმჯობესა. ენვერმა იერუსალიმის გამაგრებული მიდამოები დაათვალიერა.

ქრონიკა

რუსეთი.

მემარჯვენეების გადაწყვეტილება.

მემარჯვენე დეპუტატების კრებამ გადასწყვიტა აცნობოს მთავრობას, რომ მათი აზრით აუცილებლათ საჭიროა სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა 15 მარტამდის უთუოდ დამთავრდეს, რის შემდეგ სათათბიროს სხდომები განუსაზღვრელ დრომდე უნდა შესწყდეს; ზოგმა მემარჯვენემ პირდაპირ განაცხადა, რომ საჭიროა ახლანდელი სათათბირო სამუდამოთ იქნას დათხოვნილი და ახალი არჩევნები ამ ომის

მსოფლიო ომი.

(დღიური).

კავკასიისა და ოსმალეთ—სპარსეთის ფრონტზე საყურადღებო არაფერი მომხდარა. რუსეთის ჯარი ოსმალეთში მდ. კალაპოტამას რაიონში წინსვლას განაგრძობს, ოსმალონი უკან იხევენ.

რუსეთისა და ავსტრია—გერმანიის ასპარეზზე ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლა, დაზვერვა და შეტაკებები ხდება. საყურადღებო რამე არც აქ მომხდარა: ორივე მხარე შესაფერ მომენტს ელის. მხოლოდ გალიციაში კოლკას სამხრეთ—აღმოსავლეთით და მდ. სტრიპას შუა რაიონში რუსეთის ჯარმა რამდენიმე ალაგას შეტევა მოახდინა; ერთ ადგილზე 30 მდე ავსტრიელი დაატყვევეს.

საფრანგეთისა ბელგიისა და გერმანიის ფრონტზე ძალთა განწყობილება ისეთივეა, როგორიც წინა დღეებში იყო. ბელგიის ფრონტზე ინგლისელები და გერმანელები ჩვეულებრივ ხელით სასროლ ყუმბარებით იბრძვიან, მაგრამ ამათ. იპრთან კვლავ საარტილერიო დუელი სწარმოებს: აქაც სასწორი ერთ წერტილზეა შეჩერებული. ფრანგები კი განაგრძობენ გერმანელების წინააღმდეგ არტილერიის ცეცხლით ბრძოლას, მაგრამ კვლავ უშედეგოთ; მხოლოდ შეპას ტყეში გერმანელებს რამდენიმე საყარაულო დაუნგრიეს. ესროდენ აგრეთვე გერმანელების პოზიციებს ვერდენთან პუავრის მაღლობზე. სჩანს ეს მაღლობი ახლა გერმანელების ხელშია, გერმანელების იერიშებზე და შემოტევაზე კი ცნობები არ მოსულა. სხვა ფრონტზე სრული სიწყნარეჩამოვარდა.

* * *

დროს უნდა მოხდეს ეს იმ მოსაზრებით, რომ მომენტით ვისარგებლოთ და სათათბიროში ჩვენი წარმომადგენლობა ჩვენი იმედების შესაფერათ გავაძლიეროთ.

ახალი აზეფის რჟევსკის საქმე.

ამ რამდენიმე დღის წინად მკითხველთ ვაცნობეთ პეტროგრადის გაზეთების გადმოცემით, რომ რჟევსკი განთავისუფლესთქვა. ახლა „რუსკია ვედომოსტი“ ატყობინებენ, რომ რჟევსკი ისევ ციხეში ზის და მისი საქმის ლიკვიდაცია სულაც არ მოუხდენიათ. პირიქით ეს საქმე გავლენიან პირებს დიდათ აინტერესებს, ვინაიდან იგი საუწყებათაშორისო ბრძოლის გამო მეტად გართულდა. საქმეს ორი უწყება იძიებს. გამოირკვა, „ბირჟევია ვედომოსტში“ დაბეჭდილი წერილი „ჩვენ მზათა ვართ“ რჟევსკისა ნაკარნახევი იყო იმდროს სამხედრო მინისტრის პორტფელის მჭერის სუხომლინოვის მიერ ცნობილი მოღალატე ჟანდარმის მიასოედოვის თანდასწრებით.

ხმები საბ. სათათბიროს შესახებ.

ირკვევა, რომ სახელმწიფო სათათბიროს სხდომები 1 აპრილამდე გაგრძელდება. ერთი თვის შეჩერების შემდეგ პირველ მაისიდან იგი ისევ იქნება მოწვეული, რომ თვის საკანონმდებლო მუშაობა განაგრძოს.

სამხედრო მასალის მრეწველთა პატრიოტობა.

მოსკოვის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტმა ბ. ა. ი. ტურუმინერს სამხედრო საჭიროებისათვის რაღაც საქონლის დამზადება დაუკვეთა; ამისთვის მრეწველს საჭირო რკინა ჩააბარა, მაგრამ შემდეგ მათ შორის კონფლიქტი ჩამოვარდა რის გამოც კომიტეტმა ტურუმინერის მიღებულ რკინის უკან დაბრუნება მოითხოვა და თუ ეს მოკლე დროში შესრულებული არ იქნა, იმ შემთხვევაში კომიტეტი ტურუმინერს, ემუქრება საგანგებო სათათბიროს თავმჯდომარეს მოხსენება შენი მოქმედების შესახებ ყოველივე და სამხედრო დროის წესების თანახმათ იქნება გასამართლებულიო. კომიტეტმა მეორე მრეწველს, პეტროვს დაუკვეთა რა სამხედრო საქმე, ავანსათ გადასცა 2,000 მან. და პირობა ჩამოართვა წარსული წლის 1 ნოემბერს უნდა ჩაებარებია საქონელი კომიტეტისათვის, მაგრამ პეტროვმა აღნიშნულ ვადაზე კომიტეტის წარმომადგენელს არა თუ საქონელი არ ჩააბარა, არამედ მოთხოვნაზე პასუხიც არ გასცა; მაშინ კომიტეტმა ამ პატიოსან პატრიოტ მრეწველს 2,000 მ. და 10% „ნეუსტოიკის“ ჩაბარება მოთხოვა. საქმე სათათბიროს თავმჯდომარეს გადაეცა. ასეთივე უპირულობა ჩაიდინა ქ. ტულის მრეწველმა ზიაბრევმა, რომლის წინააღმდეგ კომიტეტმა ენერგიული ზომები მიიღო: ასეთი მაგალითები, როგორც სჩანს სხვა რაიონებშიც ბევრია. ასეთია მრეწველთა პატრიოტობა „სამშობლოსათვის თავდადება“.

ყოფილი სამხედრო მინისტრის სამართალში მიცემა.

პეტროგრადიდან იტყობინებიან, რომ უმაღლესმა საგამომძიებლო კომისიამ ყოფილი სამხედრო მინისტრის, სუხომლინოვის საქმის გამოძიება დაასრულა და ამ დღეებში მას სასამართლოს გადასცემს.

ბიუროკრატიული ფორმალიზმის შედეგი.

ქ. ნეჟინიდან კორესპონდენტი იტყობინება, რომ ჩერნიგოვის საზოგადოებათა და კავშირების საქმეთა საგუბერნიო „პრისუტსტვიემ“ ჩერნიგოვის კოოპერატივების ამხანაგობათა დახურვის შემდეგ ასეთივე დადგენილება გამოიტანა აგრეთვე ნეჟინის კოოპერატივების ამხანაგობის შესახებაც ოფიციალური საბუთი, რომლის ძალით კოოპერატივი დახურეს, მდგომარეობს იმაში, რომ ფორმალური მხარე ხელშეკრულობისა და წესდების წესების შესრულების მხრივ დაცული არ იყო.

ცენტრალურ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტში.

23 თებერვალს სახელ. სათათბიროს წევრის კონოვალოვის თავჯდომარეობით ცენტრალურ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის სხდომა გაიმართა. კომიტეტში უმთავრესად ამ დღეს გაირჩა კითხვა მუშებსა და ხაზეინებს შორის ჩამოვარდნილ კონფლიქტის მოსაწესრიგებლათ მომრიგებელ კამერების დაარსებისა. მუშათა ჯგუფები ამ კითხვაზე თავისი წარმომადგენლის გვოზდევის საშუალებით საკუთარი აზრი წარადგინა. სხდომა დიდი კამათის შემდეგ იმ დასკვნამდი მივიდა, რომ საჭიროა ჯერ ცენტრალურ კომიტეტთან დაარსდეს ასეთი კამერა, შემდეგ კი—პროვინციებშიაც.

კომიტეტმა დაადგინა ეს კითხვა მომავალ სიეზდს გადასცეს საბოლოოთ გადასაჭრელათ და თან თავისი საკუთარი დადგენილებაც მას გააცნოს.

ინტერნაციონალის მომავალი კონფერენცია.

ინტერნაციონალისტების მომავალი კონფერენცია აპრილის პირველ რიცხვებში გაიმართება, ჰოლანდიის დედა ქალაქში. კონფერენციაზე, „უტროს“ გადმოცემით, ფრანგების გერმანელების(!) და ავსტრიელების წარმომადგენლები არ დაესწრებიან.

ქ. ქუთაისი, 2 მარტი.

კიდევ გაერთიანების შესახებ.

ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების არაჩვეულებრივმა ზრდამ და გაძლიერებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ძილი დაუფრთხო და მოსვენებას არ აძლევს, ჩვენი ცხოვრების უკულმართ ვითარების ნიადაგზე წარმოშობილ, ეგრეთწოდებულ, სოციალისტ ფედერალისტურ მოძღვრების მიმდევართ.

აღსანიშნავი აქ ის არის, რომ მაშინ, როდესაც ჩვენებური ნამდვილი სოციალისტები, მარქსისტები, რომლებმაც ყველაზე ადრე აფრიალეს საქართველოში სოციალისტური დროშა და მისი დაცვისათვის თავსაც კი არ იზოგავდენ, მოსაწონი სილინჯითა და სრული სულიერი სიმშვიდით შეხვდენ ამ ახალი საზოგადოებრივი ჯგუფის—ეროვნულ-დემოკრატების—გამოსვლას და საჯაროთ აღიარეს მისი საქვეყნო მნიშვნელობა და დიდი საზოგადოებრივი როლის შესრულებაც კი მიაკუთნეს მას; ამავე დროს სოციალისტ-ფედერალისტებში, რომელთაგანაც ჩვენ უფრო მეტს მოთმინებასა და თანაგრძნობას მოველოდით, ეროვნულ-დემოკრატებისაგან გადადგმული ყოველივე ნაბიჯი დიდ აღშფოთებასა და სიძულვილსაც კი იწვევს მათში.

ამ მხრით განსაკუთრებული ყურადღების ღირსია თავისი მოუფიქრებელი და თავშეუკავებელი „გამოსვლებით“ ფედერალისტურ ლაშქრის მარჯვენა ფრთა, რომელსაც თავისი ზნეობრივისა და გონებრივის ავლადიდების გამოსამზეურებლათ გაზეთი „მეგობარი“ გაუჩენია.

მკითხველს ეხსომება, რომ ამ უკანასკნელ დროს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში აღიძრა საკითხი, საქართველოში მოქმედ ყველა მიმართულების შეთანხმების შესახებ.

ვინ არ იცის, რომ ჩვენი ჯგუფის მსოფლმხედველობის ერთ უმთავრეს საფუძველს შეადგენს ერის სხვადასხვა საზოგადოებრივ კლასთა შორის თანამშრომლობის აღიარება, რაიც, ჩვენის ღრმა რწმენით, უნდა წარმოადგენდეს ყოველდღიურს, ნორმალურ, სოციალურ მოვლენას საზოგადოების ცხოვრებაში. ამიტომ ჩვენი მთავარი ყურადღება იმ თავიდანვე მიქცეული იყო ერის ყველა ელემენტის მწყობრ და შეთანხმებულ მოქმედებისაკენ; მაშასადამე, ის, რაც კლასთა შორის შეუწყვეტელი ქიშპობისა და ბრძოლის მოესველთ, სხვადასხვა ჯურის სოციალისტურ პარტიას, მხოლოდ განსაკუთრებულ დროს მიაჩნიათ შესაძლოთ, ჩვენის აზრით, ცხოვრების ჩვეულებრივ პერიოდშიაც ხორციელდება ხოლმე. აქედან თავისთავათ იგულისხმება, რომ ჩვენ [illegible] ნიერებათ ჩვთვლიდით, არა თუ [illegible] ები, მთელი ქართველობა, ერთმანეთის წინაშე გლეჯის ნაცვლად [illegible] ცემდეს და მჭიდრო [illegible], ამ საბედისწერო დროს მაინც, თავისი ქვეყნის საკეთილდღეოთ.

გაზეთ „მეგობარი“-ს კვირის მეთაურის ავტორს კი შეუძლებლათ უცვნია ჩვენისთანა „გამოურკვეველისა“ და „უპროგრამო“ მიმართულებასთან რაიმე „დიპლომატიური მოლაპარაკების გამართვა შეთანხმებაზე“, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ არასდროს არავითარი წინადადებით არ მივმართავს მისთვის, არაფერი გვითხოვია და არც აზრათ მოგვსვლია ყამესთან გაგვემართა რაიმე „დიპლომატიური მოლაპარაკება“, მით უმეტეს მასთანა შტაბთან, რომელსაც, როგორ ვიცით, არმია არ გააჩნია და თავის ანაბარად არის მიტოვებული.

საერთოდ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ მისთანა „პუბლიცისტური“ წერილების ბეჭდვა, რომელიც ამ ბოლო დროს დაიწყო „მეგობარი“-ს რედაქციამ, არ არის სასურველი, რადგან ყველა მათ სხვისი დამცირება და გაბიაბრუება უძევს სარჩულად და შეთანხმებისა და შეკავშირების ნაცვლათ, დიდ უთანხმოებასა და შუღლს სთესავს ჩვენს ისედაც დაქსაქსულ და დარღვეულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამას გრძნობს ყველა. და ამიტომ ვისაც სურს საქვეყნო საქმის გაკეთება, სამშობლოს გულწრფელი სამსახური და წარმატება, მეტი სიფრთხილე და წინდახედულობა მართებს მას. ვგონებ, ჩვენ, ქართველებს, ამჟამათ არაფერი არ გვაქვს სადაო და გასაყოფი: თუ რომელიმე მიმართულება მეორეზე უფრო ენერგიულათ და მხნეთ ემსახურება თავის მამულს,—ქება და დიდება მას, ხოლო რა საკადრისია ყველგან და ყოველთვის ამაზე წერა და ლაპარაკი, როგორც ამას ზოგიერთები სჩადიან.

დასასრულ, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ს—ფედერალისტები წამდაუწუმ იმას გვიკიჟინებენ, რომ პროგრამა არ გაგაჩნიათო, არ არის ნათლათ გამორკვეული თქვენი სოციალ-პოლიტიკური ფიზიონომიაო. ამნაირი ლიტონი ჭანცხალებით სურთ დაამტკიცონ ჩვენი მიმართულების სრული არარაობა; ნამდვილათ კი საქმე იმაშია, რომ, ჩვენ, მართლაც, არ გვაქვს მისთანა შაბლონურათ შედგენილი პროგრამები, როგორც ეს ყველა სოციალისტურ პარტიებს მოეპოვება, ერთი მეორის მსგავსი, ერთნაირათ ჩამოყალიბებული და ერთ-

---

წითელი სიკვდილის ნიღაბი.

(ედგარ პოს მოთხრობა*).

დიდი ხანია, რაც „წითელი სიკვდილი“ ქვეყანას ანადგურებდა...

ჯერ არსად არ ყოფილა ასეთი საზარელი და საბედისწერო ჭირი!.. სისხლი... იყო მისი დროშა და ბეჭედი კი—საშინელი სისხლის წვეთი. მოულოდნელ თავბრუხვევას, აუტანელ ტკივილს და შემდეგ სისხლის ოფლს მოჰყვებოდა ხოლმე მთელი სხეულის გახრწნაც...

წითელი ნიშნები სხეულზე, განსაკუთრებით პირისახეზე იწვევდა ადამიანში [illegible]. ამ ავადმყოფობის მსხვერპლი მოკლებული იყო ყოველგვარ დახმარებას. მას ვერ ეკარება თვით უახლოესი ნათესავიც... ვისაც კი ეს სენი შეეპყრობდა, მისი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ნახევარ საათის განმავლობაში იგი კვდებოდა კიდეც...

მაგრამ ბედნიერი და გამბედავი **პრინცი პროსპერო** დიდი მოსაზრების ადამიანი იყო. როდესაც ჭირმა გაანადგურა მისი სამფლობელოს თითქმის მთელი ნახევარი, მან შეკრიბა თავის გარშემო ათასამდის უშიშარი და უდარდელი მეგობარი, აგრეთვე სასახლეში მყოფი რაინდები თავიანთი მანდილოსნებით და ჩაიკეტა მათთან ერთად ერთ გამაგრებულ ადგილას... დროებით მოსცილდა იმ ქვეყანას, სადაც ჭირი მძვინვარებდა.

პროსპერო გადმოსახლდა უზარმაზარ და მეტად ლამაზ შენობაში. ეს სასახლე თვით პრინცმა აიშენა თავის **უცნაურ გემოს** მიხედვით. მთელ შენობას გარს შემორტყმული ჰქონდა მაღალი და მაგარი ქვის კედელი რკინის ალაყაფის კარებით...

სიჩქარით შევიდენ ამ დიდებულ კოშკში სასახლის კაცები. მაშინვე აიღეს ხელში ჩაქუჩები და ის ადგილები, საიდანაც კი ნათელი გადიოდა, დაფარეს. ერთი სიტყვით, ყოველი ღონე იხმარეს, რომ მაგრად ჩაკეტილიყვნენ... პრინცის ბრძანებით არც აქედან გამოსვლა შეიძლებოდა და არც იქ შესვლა...

ყოველგვარი საჭირო სურსათი წინდაწინვე იყო მიტანილი სასახლეში. ასეთ ზომების გამო იქ მყოფი ხალხი არავითარ განსაცდელს არ გრძნობდა... დეე, ვინც ამ კოშკის გარეთ იმყოფება, მათ იზრუნონ თვიანთ თავზე!..

პრინცი პროსპერო ცდილობდა დრო მხიარულად გაეტარებინა; ამ მიზნის მისაღწევად იგი ყოველ საშუალებას ხმარობდა. მის სასახლეში იყვნენ მგოსნები, ხუმარა-მოშაირეები, მუსიკოსები, მოცეკვარნი და ლამაზი ქალები... ღვინოც ბევრი ჰქონდათ.

დიახ, უშიშრად გრძნობდენ ისინი, ვინც აქ ცხოვრობდა. კოშკის გარეთ კი სწორედ ამ დროს საშინელი სიძლიერით მძვინვარებდა „წითელი სიკვდილი“..

ასეთ განცალკევებულ ცხოვრების ხუთი თუ ექვსი თვის შემდეგ, როდესაც ჭირმა მცხოვრებთა უმრავლესობას სიცოცხლე მოუსპო, პრინცმა თავის მეგობრებს გაუმართა **მასკარადი** და მოაწყო იგი იშვიათი ხელოვნებით და სიმშვენიერით...

თვალწარმტაც სურათს წარმოადგენდა ეს მასკარადი... მაგრამ, ჯერ ნება მიბოძეთ აგიწეროთ ის ზალები, სადაც იგი მოხდა.

პრინცის უზარმაზარ სასახლეში იყო შვიდი ზალა, ნამდვილი სამეფო ამფილადა! მხოლოდ ბევრგან ასეთი ამფილადა გაკეთებულია ხოლმე ერთ ხაზზე, ასე რომ კარების გაღებისათანავე თქვენ ზალების მთელ რიგს ერთბაშად დაინახავთ... აქ კი სულ სხვანაირ გეგმით იყო მოწყობილი ამფილადა.

პრინც პროსპეროს, რომელმაც ეს გეგმა გამოიგონა, გაგიჟებით **უყვარდა** ყოველივე **არა ჩვეულებრივი.** ზალები მის სასახლეში ერთი-ერთმანეთთან უთანასწოროდ იყო მიკედლებული, ასე რომ შესვლის დროს პირველად დაინახავდით მხოლოდ **ერთ ზალას** და არა მთელ ამფილადას. ყოველ ოცდაათ ნაბიჯზე შეგხვდებოდათ მოსახვევი, საიდანაც სულ ახალ-ახალი სურათი იშლებოდა თქვენ წინ...

მარცხნივ და მარჯვნივ კედლების შუა გულში იყო ჩამული მაღალი და ვიწრო გოტიკური სარკმლები, რომლებიც გამოდიოდენ დახურულ დერეფანში. ეს დერეფანი მთელ ამფილადას ფარავდა.

ყოველი ზალა **თავისებურად** იყო მორთული. ფანჯრების მინებს სხვა და სხვა ფერი ჰქონდათ. ეს მრავალფეროვანი მინები ჰარმონიულად ამშვენებდენ ზალებს... მაგალითად, ზალა, რომელიც სასახლის ბოლოში იმყოფებოდა აღმოსავლეთით, შემკული იყო **ცისფრად** და მინებიც ასეთივე ფერისა იყო. მეორე ზალაში ეფინა **წითელი** ხალიჩები და მთელი ოთახის კედლებიც წითლად იყო მოფარდაგებული.

აქ მინებიც წითლად ანთებდენ. მესამე ზალა იყო **მწვანე,** მინებსაც ასეთი ფერი ჰქონდათ. მეოთხე ზალა იყო **ოქროს ფეროვანი,** მინებიც ამ ფერად ბრწყინავდენ. მეხუთე იყო **თეთრი,** მეექვსე კი **იასამანის** ფერისა ასეთივე მინებით...

მხოლოდ მეშვიდე ზალა იყო **უცნაურად** მორთული: იატაკზე ეფინა **შავი** ხალიჩები, კედლები კი იყო შავი ხავერდით მოფარდაგებული. მინების ფერი აქ **არ** შეესაბამებოდა თვით მორთულობას.

არც ერთ პრინცის ზალაში თქვენ ვერ იპოვიდით კანდელს. სამეფო ამფილადაში არ იყო არც ლამპარი, არც სანთელი, მხოლოდ ყოველ ფანჯრის წინ დერეფანში იდგა მძიმე სამფეხი, რომელზედაც ენთო ცეცხლი. იგი მრავალფეროვანი მინების საშუალებით მთელ სასახლეს აშუქებდა და ანათებდა.

ასეთი განათება მეტად ფანტასტიური იყო!.. მხოლოდ დასავლეთის მხრივ მდებარე **შავი** ზალა საშიშ შთაბეჭდილებას სტოვებდა მაყურებელზე. აქ სინათლე შემოდიოდა წითელ მინიან ფანჯრებიდან.. ამ ზალაში ბევრი ვერც კი ბედავდა შემოსვლას. ვინც შემოდიოდა, იმისი პირისახე რაღაც მხეცურ მეტყველებას მიიღებდა ხოლმე...

ამავე ოთახში დასავლეთ კედელთან იდგა **შავი ხის უდიდესი საათი.** მისი ენა წყნარად ქანაობდა, ერთგვარი მძუხარე ხმით. როდესაც **წუთის ისარი** მოივლიდა მთელ წრეს და საათი რეკას იწყებდა, ისმოდა წმინდა და მაღალი ხმა, ხმა არა ჩვეულებრივად მელოდიური, მაგრამ ამავე დროს ისეთი ძლიერი და უცნაური, რომ მუსიკა ორკესტრში შეჩერდებოდა ხოლმე და ცეკვაც შესწყდებოდა. ასეთ წუთებში მხიარული საზოგადოება რაღაც საშინელებას გრძნობდა. ისეთი სიტყვით, **სანამ საათის** რეკა ისმოდა, უდარდელი ახალგაზრდობა შიშისაგან ყვითლდებოდა, მოხუცები კი შუბლზე ხელს იდებდენ, თითქო ცდილობდენ შავი ფიქრები თავიდამ როგორმე მოეშორებინათ...

როგორც კი საათი რეკას გაათავებდა, მაშინვე მხიარულება და ქეიფი ხელ-ახლად განახლდებოდა ხოლმე. მუსიკოსები ერთიერთმანეთს ღიმილით შესცქეროდენ, თითქო თავიანთ თავს ანუგეშებდენ, საათის **მეორედ დარეკვის** დროს ისე აღარ შეგვეშინდებაო. მაგრამ ეს ასე არ ხდებოდა!..

გავიდოდა თუ არა ერთი საათი (რაიც შეადგენს სამი ათას ექვსას წამს სწრაფად მავალ დროისა) ისევ გაისმოდა რეკა, რომლის შედეგი ისევ შიში და კანკალი იყო. მთელი კრება ღრმად ჩაფიქრებული სდუმდა.

მიუხედავათ იმისა დღესასწაული მაინც საერთოდ მხიარულად მიდიოდა. პრინც პროსპეროს, რომელსაც ორიგინალური გემოვნება ჰქონდა, ყველაფერი მშვენივრად მოეწყო. ის დიდი მცოდნე იყო სხვა და სხვა ეფექტებისა. პრინცი ზიზღით უყურებდა ძველ მორთულობას და დახავსებულ ეფექტებს, რომელიც ჩვეულების ძალით უმრავლესობას მოსწონდა. მისი გეგმა მეტად გასაოცარი იყო. რასაც ის მოაწყობდა, ეტყობოდა **მშვენიერებისადმი გემოვნება.** ასეთი ორიგინალობის გამო პრინცი **ზოგს გიჟათ** მიაჩნდა, მაგრამ მისი მახლობელნი კი გრძნობდენ, რომ ეს შეცდომილი აზრია. ვინ იყო მართალი, ამაში ნამდვილათ დარწმუნდება მხოლოდ ის, ვინც პრინცს პირადათ გაიცნობდა და მასთან სჯა-ბაასს გამართავდა..

ეს დიდებული დღესასწაულიც თვით პრინც პროსპერომ განიზრახა და შვიდივე ზალა მისი ხელმძღვანელობით მორთეს. აგრეთვე მისივე დარიგებით შეკერეს სხვა და სხვა სამასკარადო ტანისამოსიც. ზოგი იქცევდა ყურადღებას თავის სიმშვენიერით და სიმდიდრით, ზოგს ეტყობოდა **ორიგინალობა.** აქვე დაინახავდით უცნაურ არაბესკის მსგავს ფიგურებს; იყო ისეთი ტანისამოსიც, რომელიც შიშს იწვევდა მაყურებელში... ბევრიც **საზიზღარი** ფორმისა იყო, და ზოგი კი უფრო ფანტასტიურ მოჩვენებას მოგაგონებდათ.. ერთი სიტყვით, მთელი ზალები იყო გაჭედილი ათასნაირი ნიღაბებით..

---

*) ედგარ პო გამოჩენილი ამერიკელი მწერალია, ცხოვრობდა წარსულ საუკუნეში ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება მის ლიტერატურულ დახასიათებას.

1 მარტს ქ. ქუთაისში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაი-
ცვალა

თავადი ექვთიმე დავითის ძე ლორთქიფანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მეუღლე მისი ატატო ლორთქიფანიძისა, შვილი დავით ლორთქიფანიძე, ძმისწულები ვლადიმერ და აბესალომ ლორთქიფანიძეები და ცოლის და ბარბალე (იგივე ვარდისინე) მეძმარიაშვილის ასული.

ცხედარს გამოასვენებენ (ლექვინაძის შესახვევის ლუკა ლექვინაძის სახლიდან) ხუთშაბათს 3 მარტს, ნაშუადღევის 3½ საათზე და წაასვენებენ სოფ. ჯიმასტაროს, სადაც დაკრძალავენ კვირას 6 მარტს ნაშუადღევის 4 საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. 2—1

ით გამოსადეგი ყოველთვის და ყოველ პირობებში. ამნაირი პროგრამის შე- რასაკვირველია, ძნელი საქმე არ ლავთ, რადგანაც ამისათვის საჭიროა ლოდ ლენინის მოძღვნა ევროპაში ან ეთში და მისი გადმოთარგმნა ქარ- ლათ, თუნდაც ძალიან ცუდისა და ებარის ენით.

ამნაირათ შედგენილი პროგრამა ჩვენ გვწამს, და, მართლაც, არ მოგვეპო- , მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უგზო-უკვლოთ დავიარებოდეთ, მტკი- განსაზღვრული მიზანი არ გვქონდეს ხული და შესაფერი საშუალებანი და ნაძიები გამონახული და გათვალის- ებული ამ მიზნის მისაღწევათ.

ჩვენ რომ მართლაც გამორკვეულ გზას ადგვეთ და თქვენ რომ ჩვენს მიმარ- ლებას არ იცნობდეთ, არც ამდენს ედარაბას და ალიაქოთს ასტეხდით ის გარშემო. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ება სოც. ფედერალისტებმა ძლიერ კათ იციან და გრძნობენ კიდეც, თუ უფრო რეალურ ნიადაგზე სდგას, ან პროგრამა უფრო შეეფერება ჩვენი ირების რეალობას და სწორეთ ესაა ეზი მათი გამოლაშქრებისა ეროვნულ- მოკრატიული ჯგუფის წინააღმდეგ და ერიდებიან არავითარ საშუალებას მათ საწამლებლათ და დასამცირებლათ.

Იხ.

ქართული პრესა.

როდესაც ესა თუ ის ერი ბატონია ის თავისა და თავის მოქალაქეობრივ ლება-ცხოვრებას თვითონვე განაგებს; როდესაც ესა თუ ის ერი გაღონიერებულია ლიტიკურათ და ეკონომიურად; რო- საც ამა თუ იმ ერის ენას, სკოლას წეშენოებას, სჯულს, კანონებს, ადათსა ჩვეულებას არავისაგან საფრთხე არ მო- ის და თავის განვითარების საქმეს თონვე აწარმოებს ბუნებრივ, მშობ- ურ ნიადაგზე, მაშინ, რასაკვირველია, პოლა სწარმოებს ხოლომე მხოლოდ იმ ლ შინაურ ძალების წინააღმდეგ, რომ- ლიც ხელს უშლიან ერის ხალხოსნურ მო- წყობას, წინსვლის და სათანადო განვითა- რებას. და, მართლაც, დასაგმობი, ჩასაკო- უნდა იყოს ის შვილი ერისა, ის უფალი ქვეყნისა, რომელიც მხარს ჭერს ხალხის მჩაგვრელსა და ერის უფ- ლებათა გაფართოება-გახალხოსნების მო- წინააღმდეგეთ. მაგრამ წარმოიდგინეთ ერი, ისეთი ხალხი, რომლის უფ- ლებაც, უბრალო ადამიანური უფლებაც უარყოფილია, რომელიც სხვის ხელ- ში გადაქცეულა, სხვის ყურმოჭრილ მონად გამხდარა და მისი ყოფნა არყოფნის საკითხი ბეწვზე ჰკიდია; წარმოიდგინეთ ისეთი ერი, ისეთი ხალხი, რომელსაც არ შეუძლია თავისებურად იტიროს თავისი უბედურება, თავისებურად იზრუნოს, თავისებურად იმსჯელოს, თავისებურად ისწავლოს, იფიქროს და იზრუნოს მომავალი ცხოვრებისათვის, თავის სიცოცხლისა და ღირსების დასაცავად... წარმოიდგინეთ ისიც, რომ ამისთანა უუფლებო ერსა თუ ხალხს, მართლაც ჰყავს ჩანასახი სხვადასხვა კლასის, რომელთაც აქვთ სურვილი გაბატონებისა, თავის პირადი, კერძო ინტერესების დაცვისა. რა მოვალეობა აწევს ასეთი ერის შესმენილ შვილს, ასეთი ქვეყნის პირისუფალს? მოვალეა იგი თუ არა ჯერ მთელის ერის შეერთებულის ძალით ებრძოლოს მთელის ქვეყნის—ყველა ამ დაჩაგრული ერის კლასებისა თუ ჯგუფების საერთო მტერს, თუ ჯერ ისევ თავისიანები ამოჟლიტოს და მერე გაუმკლავდეს ქვეყნის მტერს?

ჩვენა გვგონია, ჩვენა გვრწამს რომ იმ დროს, როცა თავზე ჭერი ინგრევა, რომელ ჭერქვეშაც ერთად სცხოვრობენ, ვსთქვათ, ბოროტი მაზლის ცოლებიც, არნაუტი ძმებიც, ბებერი და დახავსებული დედმამაც, უსუსური და უმწეო ბავშვებიც, ღირსეული თუ უღირსი წევრებიც, —ყველა ესენი ჯერ მოვალენი არიან ბოძები შეუდგან, გაამაგრონ საერთო ჭერი, რომ არ ჩამოინგრეს და ყველა ქვეშ არ მოიტანოს და, როცა საცხოვრებელი ბინა უზრუნველყოფილი გაუხდებათ, მერე გაუწიონ ანგარიში ერთმანეთს, მერე დაიჭკვიანონ, გამოაფხიზლონ, მოსთხოვონ შეთანხმება უმრავლესობასთან და თუ ეს არ მოხერხდა, გასდევნონ, მოსპონ კიდეც მავნებელი წევრი, თუ ჯგუფი, თავის საერთო ოჯახისა. ამას მოითხოვს ლოღიკა ცხოვრებისა, ამას მოითხოვს ლოღიკა სიცოცხლისა, ამას გვიკარნახებს აუცილებლობა არსებობისა, ადამიანური ურთიერთობისა.

ჩვენც ვიცით, რომ ქვეყნად არსებობს უსამართლობა, ყვლეფა და გლეჯა, წამება და სარჩობელა, სიმშილი და წყურვილი, ფუფუნება და სიმდიდრე, დიდი და პატარა, უფროსი და უნცროსი, მაგრამ, როცა მთელი ერი, მთელი კრებული ხალხისა, მთელი ქვეყანა განსაცდელშია და ყველა ერთ ტაფაში იხრაკება, ჯერ ამ ტაფის დამხრაკავი ცეცხლი უნდა განელდეს და მერე ვუთხრათ ერთმანეთს — ცოტა იქით მიიწიე, რომ მეტი გასაქანი მქონდესო.

აი, სწორედ ამ საერთო უბედურების, თავიდან მოშორება, სწორედ ამ ადამიანურ გასაქანისა თუ სარბიელის მოპოვება გვწადია, როცა ჩვენ მოქმედებას კლასთა ბრძოლის გარეშე ვაყენებთ და საერთო სამშობლოს სახელით, მთელი ჩვენი ქვეყნის სასარგებლოთ მოვითხოვთ ყველასაგან საერთო თანამშრომლობას.

ჩვენის აზრით, ყველა ბურჟუა თუ არა ბურჟუა მღვდელი თუ ეპისკოპოსი, ვაჭარი თუ თავადი, მუშა თუ ხელოსანი მოვალეა თავისი პირადობა, თავისი მეობა ანაცვალოს ერსა და საქვეყნო საქმეს,

ეს ისეთი საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ ლაპარაკიც კი მეტია, მაგრამ ასე არა ფიქრობენ და მსჯელობენ ჩვენი „სოციალისტები". მათ ყოველფერი ეს საძაგლოთ მიაჩნიათ ისე, როგორც ჩვენ მწარე ღიმილსა გვგვრის იმ მეოცნებეთა სურვილი, რომელთაც ხმელი პურიც კი არა აქვთ, ამ ხმელი პურის მოპოვების შნო არ მიუცია მათთვის შემოქმედს და მოხრაკულ გოჭ-ინდაურებზე მთელ ტრაქტატებს გვიწერენ. მეტი ცხოვრება ვის გადაუყრია, მაგრამ ჯერ მოგვეცით „პური არსობისა", ბატონებო, და როცა თქვენზე გლახად მოვიქცევით, მაშინ გვიკიჟინეთ!

ჩვენში „ცნობილ მიმართულების" ქადაგება-ლაპარაკს რომ დაუგდოს კაცმა ყური, ყველა გასაძღეტი, მეტი ბარგი ვართ, გარდა თვით ამ მქადაგებლებისა, რასაკვირველია, მაგრამ საქმით კი ისევ იმ გლახებს ჩავბღაუჭებივართ, რომელთა დაცინვა და დევნაც ჩვენს ხელობათ გაგვიხდია.

ვინ ასულდგმულებს, ვინ აცხოვრებს ჩვენ კულტურას, ჩვენ ჟურნალ-გაზეთობას, ჩვენ სკოლებს, ჩვენ საზოგადოებრივ დაწესებულებათ ჩვენ სოციალისტურსა თუ არასოციალისტურ ინტელიგენციას, თუ არა იგივე „ბურჟუები", „ეპისკოპოსები" „ბანკები„, იგივე „მღვდლები" და „მერები", ერთი სიტყვით, იგივე ხალხი, იგივე ერი განურჩევლად სქესისა, წოდებისა, ჰასაკისა და მდგომარეობისა. სჩანს, მაშასადამე, რომ არის რაღაცა ძალა, რომელიც მაღლა სდგას ყოველგვარ ჩვენ ჯგუფურ თუ პროფესიონალურ ინტერესებზე ეს ძალა კი არისძალა ეროვნების შენარჩუნების.—კლასიცა და მიმართულებაც ივიწყებს პირადობას, როცა საერთო საფრთხე მოელის. ჩვენც, საერთო უბედურების მსხვერპლთ, ერთი რამ უნდა გვასულდგმულებდეს: ჯერ ქვეყანა, ერი, ხალხი და მერე ჩვენი თავი. ამის იქით ვერაფერს ვერც მოვეწევით და ვერც გავაკეთებთ. ვერავითარი ქადაგება სოციალიზმისა და კლასთა ბრძოლისა ვერ გვიშველის, სანამ ერთი ყველასათვის არ ვიქნებით და ყველა ერთისათვის. ეს იქნება თუ გნებავთ უკეთესი სოციალიზმი, სოციალიზმი ცხოვრებისა და არა თეორიისა. ჩვენ სხვა სოციალიზმი არა გვწამს და ვერც ვიწამებთ, ამიტომ ქვეყნის ჭირ-სუფლის მოვალეობაა შეათანხმოს, შეაკავშიროს, შეაჯგუფოს ყველა ერთად და საერთო მტერს გაუმკლავდეს საერთო ძალით. ნამდვილი მოღვაწე ის არის, ვინც ქვეყნის სიმდიდრეს ერთად მოუყრის თავს და ჯგუფთა და „მიმართულებათა" გულის თქმას დაუმორჩილებს საქვეყნო, საერთო, საერო მოთხოვნილებათ.

ალბათ, ასევე ჰფიქრობს გაზეთი „საქართველოც" როცა ჩვენ თავად-აზნაურულ დაწესებულებათ ყურადღებას აქცევს და დასძენს:

„ჩვენს დეპუტატთა საკრებულოებში აუცილებლად უნდა შეიჭრას ახალგაზრდა და მოქმედი ძალა და ენერგია, რომ ქვეყნის სასარგებლოდ გამოიყენოს ამ ინსტიტუტის უფლება-უპირატესობა და ის პრესტიჟი, რომელიც მას აქვს მთავრობის თვალში, და რომ აგრეთვე ქვეყნისავე სასარგებლოდ დაატრიალოს მისი ქონება და შემოსავალი. ჩვენი საზოგადოებრივი განვითარება და აზროვნება მტკიცედ შესდგა დემოკრატიულ ღონეზე. ამ სად სულს ყოველს კერძო დაწესებულებაში შეაქვს ხალხოსნობისა და თვითმოქმედების სტიმული. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენი დეპუტატთა საკრებულოები არსებითად წოდებრივი დაწესებულებანი თავიანთ ქონების დიდ ნაწილს ეროვნულ-კულტურული სახის ახმარებენ, საიდანაც განდევნილია ყოველივე წოდებრივი, ან უკეთ სადაც შერიგებული და შეთანხმებული ყველა წოდება.

ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებული პოლიტიკურ-ეროვნული მდგომარეობა ყოველ წოდებისა და საზოგადოებრივ კატეგორიების წინაშე საერთო ეროვნულ პრობლემას განსაკუთრებულის სიმწვავით წამოაყენებს. მუშავდება ერთგვარი საერთო მისწრაფება და ლტოლვა, ყველასათვის იქნება ერთგვარი ვალდებულება გადასცეს კერძოს, წოდებრივს და მიხედოს ზოგადს, ეროვნულს.

ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებულმა მდგომარეობამ ცხოველ ჰყო ის შეგნება, რომ ჩვენი ხსნა ფართო მასის გათვითცნობიერებასა და ეკონომიურ მოღონიერებაშია. ეს გაბატონებული იდეა იმორჩილებს ჩვენს დეპუტატთა საკრებულოებს. და რაც უფრო მეტი იქნება ამგვარი გავლენა ჩვენს დეპუტატთა საკრებულოებზე, იმდენად მეტ ეროვნულ სარგებლობასა და ნაყოფს გამოვაღებინებთ, მეტ საერობო ფუნქციებსაც აღვასრულებინებთ. თუ ცენზის სიდიდე საკრებულოდან ერეკება თავად-აზნაურთა დემოკრატიულ ნაწილს, საკრებულოს გარეთ უნდა შეიქმნას ისეთი ატმოსფერა, რომელიც ამ საკრებულოებს ფაქტიურად დემოკრატიულ-ეროვნულ საქმეებისთვის აამოძრავებს.

ასეთივე მოთხოვნილებანი უნდა წარვუდგინოთ სხვა ყველა ქართულ შემძლებელ დაწესებულებათ. საერთო-საქვეყნო საქმის გასაკეთებლად უნდა გამოვაღებინოთ წვლილ თითოეულ კერძო პირსაც და მაშინ დავინახავთ, თუ როგორის სწრაფის ნაბიჯით წავა ჩვენი ცხოვრება წინ, სულ წინ...

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

შეკითხვა. პუტილოვის ქარხნებში მუშაობის შეწყვეტის გამო, სახ. სათათბიროში 33 წევრმა მოხსენება შეიტანა.

✦ კოოპერატივების შესახებ. სათათბიროში 40 წევრმა სახოფლო კოოპერატიულ დაწესებულებებისადმი მთავრობის მოხელეთა დამოკიდებულების შესახებ შეკითხვა წარადგინა.

✦ პრიამურის მხარის ომის გამო დაზარალებულ მცხოვრებთათვის და მათ მეურნეობის დასახმარებლათ ხაზინამ მილიონი მანეთი მიიღო.

✦ 29 თებერვალს სახ. სათ. სხდომაზე დეპ. შიდლოვსკიმ კვლავ აღძრა საკითხი შესახებ გერმანელთა ძალადობისა, რომლის მოსპობაც ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა.

✦ 8 მარტს 1916 წ. დილის 10 საათზე ქალაქის დარბაზში მოხდება საკრედიტო ამხანაგობის წლიური კრება. კრება განიხილავს შემდეგ საკითხებს:

1) განხილვა, დამტკიცება და განაწილება მოგების 1915 წ. შემოსავალ-გასავლის და ხარჯთ-აღრიცხვა ამა 1916 წლისა.
2) მოწყობა და გაწესრიგება ამხანაგობის საქმეებისა და განხილვა თხოვნისა და მოხსენებისა.
3) ამორჩევა გადამდგარ გამგეობის ერთი წევრისა და მისი ორი კანდიდატის არჩევისა.

✦ კავკასიის რკინის გზის სამმართველომ ცირკულიარი დაუგზავნა ყველა რკინის გზის სადგურის უფროსებს, რომ ამიერიდან არ მიიღონ გასაგზავნათ აბრეშუმის პარკი თუ ეს არ იგზავნება ქ. მოსკოვში ამავე სამმართველომ გადასწყვიტა შემოიღონ მგზავრებთათვის მოგზაურობის დროს მატარებელში განსაკუთრებული ვაგონებში საყდარი, სადაც მგზავრებს შეძლება ექნებათ წირვა მოისმინონ.

✦ ხვალ ქუთაისის ქართულ თეატრში თბილისიდან ჩამოსული ადგილობრივი რუსული ოპერის მსახიობები მართავენ წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება პიესა „ვერა მირცევი."

სახელმწიფო სათათბირო.

29 თებერვლის სხდომა.

სხდომა იხსნება 11 საათსა და 30 წუთზე. თავმჯდომარეობს **როძიანკო.**

სათათბიროში შემოვიდა 33 წევრის ხელმოწერილი მოხსენება პუტილოვის ქარხნებში მუშაობის შეწყვეტის შესახებ.

შემდეგ ეხებიან ამურის მაზრას, სადაც უკანასკნელ გაწვევის წყალობით შესწყდა ოქროს ლითონის წარმოება და ამ რიგად ხსენებული მაზრა მეტად კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდა, მცხოვრებთ არ მოეპოებათ სათესლე. ერთი სიტყვით, იმპერიის სახოფლო მეურნეობას დიდი საფრთხე მოელის. აგრეთვე აუცილებლად საჭიროა მცხოვრებთა სანოვაგით დახმარება, და სასწრაფოდ საერობო მართველობის შემოღება, მიწათმოქმედების მინისტრის ამხანაგმა აუწყა სხდომას, რომ პრიამურის მხარისთვის ხაზინამ უკვე ორი მილიონი მანეთი მიიღო.

შემდეგ **შიდლოვსკი** შეეხო იმპერიაში გერმანელთა ძალადობას, რომელიც სახელმწიფოებრივ ყოფაცხოვრებისთვის მეტად მავნეა და დაასკვნა ხსენებულ ძალადობის მოსპობა დღემდის მთავრობამ ვერ მოახერხა, რადგან ძირითადათ არ გასცნობია საქმის ვითარებას.

ხავენსკი ეხება რუსეთის ფინანსიურ მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ რუსეთის ფინანსიური მდგომარეობა ომის დასაწყისში სანუგეშო იყო, მაგრამ მას არ უვარგოდა ფინანსიურ საქმეებში პოლიტიკა. როდესაც წამოაყენეს ლოზუნგი ყველაფერი ომისთვისო, აქ ის არ გაახსენდა, რომ ომის წარმოება მცხოვრებთა ურთისულოვნებით და მათ დაუხმარებლად არას გზით არ შეიძლებოდა.

მაკლაკოვი გორემიკინი და შჩეგლოვიტოვი არსებითად არაფერს აკეთებდენ, სახ. სათათბიროს არსებობას ყოველდღე ძირს უთხრიდენ, პროვინციებში სათათბიროს ანგარიშის სიმართლის დამტკიცებას ჰკრძალავდენ და, როდესაც რუსეთის ჯარი, საბრძოლ იარაღის შემოკლების გამო, იძულებული შეიქნა მტრისთვის ერთი გუბერნია მიეცა, მაშინ ხსენებულმ

ს მოჩვენებათა ბრბო დალასლასებდა ახლეში, მიდიოდ-მოდიოდა, იგრიხე- და, ხარხარებდა. მუსიკაც ამ დროს ოვდა რაღაც უცნაურ მელოდიებს.

დრო გამოშვებით შავ ხავერდიან ოთა- დან ისმოდა საათის რეკა. ასეთ წუ- ებში ყოველივე მოძრაობა უცებ ისპო- და და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარ- დებოდა ხოლმე, მაგრამ როგორც კი უკანასკნელი რეკა თავდებოდა, პრინცის სტუმრები სიცილ-ხარხარით განაგრძობდენ რულებას ძველებურად..

მხოლოდ მეშვიდე ზალაში, რომლის ედლები და იატაკი შავად იყო მორთუ- ლი, ვერც ერთი ნიღაბოსანი შესვლას ვერ ბედავდა. ნამეტნავად **საშიში იყო** ს ყოფნა იმ დროს, როცა **საათი რეკას** წყებდა. სამაგიეროდ დანარჩენ ზალებ- ში სდუღდა სიცოცხლე და მოძრაობა.. ერთი მხიარულება **უმაღლეს წერტი- ლამდი** ავიდა სწორედ იმ დროს, როცა ა სრული **შუაღამე** და საათმა იწ- რეკა...

როგორც წინად, ისე ახლაც მუსიკა უცებ შეჩერდა, ცეკვა შეწყდა და გულ- ვი დუმილი ჩამოვარდა მთელ სასა- ხლეში.

თორმეტჯერ საათის რეკა შედარებით წინანდელთან გძელი იყო და იქნება ამი- მაც პრინცის სტუმრები **უფრო ძლი- ერად** გრძნობდენ ამ დუმილს... იქნება, ვე მიზეზით, როცა საათმა უკანასკნე- ლად ჩამოჰკრა, ბევრმა შენიშნა **ერთი ნიღაბი**, რომელზედაც წინად ყურადღე არავის მიუქცევია...

ამ ახალი სტუმრის მოსვლა ყველამ მა- ლე გაიგო. ჯერ ჩუმად ეუბნებოდენ ერ- თმანეთს ამის შესახებ, შემდეგ კი ყველა ურდა და წყრომის ხმაც აქ-იქ გაისმა... რამ გავიდა ორიოდე წუთი და ამ დაუ- პატიჟებელ სტუმრის დანახვაზე მოულოდნელად ყველამ იგრძნო გაუგებარი შიში სასოწარკვეთილება.

ასეთ ფანტასტიურ მასკარადში ჩვეულებრივი ნიღაბი არავითარ აღელვებას არ გამოიწვევდა... ეს მართალია, მაგრამ საზოგადოება მალე დარწმუნდა, რომ ახალი ნიღაბოსნის ტანსაცმელი მეტად უცნაური და უალაგო იყო... ნეტა რას წარმოადგენდა იგი? ეს იყო მაღალი და ხმელი ფიგურა, თავით ფეხებამდი მას ეცვა თეთრი სუდარა... ნიღაბი რომელიც პირისახეს ფარავდა, გაცივებულ ლეშის სახესა ჰგავდა. ეს კიდევ არაფერი!.. იქნება, პრინცის სტუმრებს, ეს ნიღაბი მოსწონებოდათ კიდეც, მაგრამ საზარელი ის იყო, რომ იგი თავის მორთულობით წარმოადგენდა **„წითელი სიკვდილის"** განხორციელებას... მთელი მისი ტანსაცმელი **სისხლით** იყო გასვრილი, დიდ შუბლზე და სახეზე **„წითელი ნიშნებიც"** ჰქონდა... პრინც პროსპეროს პირველად რომ დაინახა ეს მოჩვენება, რომელიც გამარჯვებული ნაბიჯით მოცეკვავეთა შორის დადიოდა, იგრძნო ზიზღი მისადმი... იგი შიშისგან ცოტათი აღელდა კიდეც, მაგრამ მალე მოიკრიბა ძალა. სიბრაზისაგან პირისახე გაუწითლდა.

— ნეტა ვინ ბედავს, ჰკითხა ჩახლეჩილი ხმით პრინცმა თავის სტუმრებს, შეურაცყოფა მოგვაყენოს ჩვენ ასეთი დაცინვით?.. ვინ ბოდავს მეთქი?.. ახლავე დაიჭირეთ, მოხსენით ნიღაბი, რომ ვიცოდეთ, ვინ უნდა ჩამოვახრჩოთ ხვალ დილით კოშკის კედელზე!..

ამ დროს პროსპერო იმყოფებოდა ცისფერ ზალაში. ყოჩაღი პრინცის ხმა ყველამ გაიგო... მუსიკამაც მისივე ბძანებით დაკვრა შესწყვიტა. თავის დახამხამებაზე პრინცის გარშემო მოგროვდენ გაფითრებული რაინდები.

მისმა სიტყვამ დამსწრეთა შორის გამოიწვია ნელი მოძრაობა. გეგონებოდათ, აი საცაა ბრბო დაეცემა ამ უცნობს... უცნობი კი ამ დროს წყნარი ნაბიჯით პრინცს უახლოვდებოდა. მაგრამ აუხსნელი შიშის გამო, რომელიც ამ უცნობის ყოფაქცევამ გამოიწვია, მას ხელი ვერავინ ახლო. ამ ნიღაბოსანმა დაუბრკოლებლივ პრინცის ახლო გაიარა და განაგრძო სიარული ცისფერ ზალიდან ოქროს ზალაში, აქედან შევიდა მწვანე ზალაში და ასე მან მთლად მოიარა მთელი ამფილადა... აქამდი მისი გაჩერება ვერავინ გაბედა. აქ კი გაბრაზებული და თავის სიმხდალით შერცხვენილი პრინცი გამოუდგა უცნობს **მარტოდ-მარტო**... დანარჩენი ხალხი კი გაქვავებული ერთ ადგილას იდგა.

პრინცმა იძრო ხმალი. იგი მიუახლოვდა ამ ნიღაბს იმ დროს, როცა ამ უკანასკნელმა მიაღწია იასამნის ფეროვან ზალას. პრინცი უკვე სამ ნაბიჯზე იდგა მის წინ, როცა უცნობი უცებ მოტრიალდა და **პირდაპირ შეხედა** თავის მდევნელს... გაისმა საზარელი ყვირილი. გაიელვა ხმალმა და უცებ დავარდა იგი შავ ხალიჩაზე. ერთი წამის შემდეგ თვით პრინციც დაეცა მკვდარი ამავე ხალიჩაზე...

ამ სურათის დანახვაზე ხალხი, გატაცებული რაღაცა მხეცური გამბედაობით შევარდა შავ ზალაში და სტაცა ხელი უცნობს, რომლის **ფიგურა უძრავად** იდგა დიდი ხის საათის ჩრდილში. აუწერელმა შიშის ზარმა შეიპყრო მთელი საზოგადოება: ეს ნიღაბი **უსხეულო** აღმოჩნდა...

მაშინ კი ყველა იქ დამსწრე მიხვდა, რომ პრინც პროსპეროს სასახლესაც ეწვია **წითელი სიკვდილი**... ის შუაღამისას ქურდივით შემოიპარა... მის მოსვლის შემდეგ შესწყდა მხიარულება იქ, სადაც წინად სიცოცხლე სდუღდა... მოქეიფენი ნელ ნელა იხოცებოდენ... ხის საათიც გაჩერდა... არე მარე მოიცვა სიბნელით და გამეფდა უსაზღვროდ **წითელი სიკვდილი!..**

ალ. გარსევანიშვილი.

მოღვაწეებმა, სეპარატიულ ზავზე ჩამოაგდეს საუბარი და გორემიკინ-მაკლაკოვ შჩეგლოვიტოვმა მას ხელიც მოაწერეს. ეს მოღვაწეები იცვნენ, რომ დღემდის საფრანგეთს „რევოლუციის ბუდეთ" იხსენიებდენ, მხოლოდ დღეს მას დიდათ ადიდებენო. დღეს ყველასათვის ცხადი შეიქნა სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის აუცილებლობა, რომ მით ხელი შეეწყოს ომის სასურველად მსვლელობას, მაგრამ გორემიკინ—შჩეგლოვიტოვ და—მაკლაკოვი დღესაც არაფერს აკეთებენ და, პირიქით სხვათა მუშაობას ხელს უშლიან.

მინისტრთა საბჭოში.

მინისტრთა საბჭოს მორიგ სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა პრემიერი შტიურმერი. მოწონებულ იქნა სახელმწიფო სათათბიროს მიერ წამოყენებულ კანონ პროექტი აწინდელ საქალაქო წყობილების რეორგანიზაციის შესახებ. ქალაქი იყოფა რამდენიმე წვრილ ნაწილებად და ყოველი ნაწილი ირჩევს თავის საბჭოს, საბჭოში განსაზღვრულია ებრაელთა და არა მართლმადიდებელთა უფლება. მინისტრთა საბჭომ მოიწონა შემდეგი კანონ პროექტები: 105,000 მან. გადაეცეს კავკასიის სამეურნეო წყლების მომწყობ კომისიის ხელში. აქმოლინის მაზრის სასწავლებელთა უფროსთ 25,000 მან. ბეღლების დასამზადებლად, რაიც საჭიროა სათესლეს შესანახავად.

სასიამოვნო მოვლენა.

ჩვენს ცხოვრებას ყოველ მხრივ გამოცოცხლება დაეტყო ეხლა. „დაქვეითების ხანა" რასაც განიცდიდა საქართველო თითქმის ნახევარ საუკუნის განმავლობაში ჩვენდა საბედნიეროთ სულს ლევს.

ამ პატარა შენიშვნისებურ წერილში ჩვენ გვინდა გაკვრით აღვნიშნოთ განსაკუთრებით ახალგაზრდათა საქმიანობა.

გუშინ „სამშობლოში" დასტამბული იყო საყურადღებო წერილი მოწაფე ილია ბერიძისა, სადაც ახალგაზრდა ქართველ მოწაფეთ „ქართულ სამოწაფო ლიტერის" გამოცემას მპირდება, რაიც ხელს შეუწყობს ჩვენს გათვითცნობიერებას და ქართულ სახით მოქმედებას.

წარსულ კვირას ქ. ქუთაისში გამოვიდა ალმანახი „ახალი ცისკარი" ალმანახში დასტამბულია ჩვენ ძველ და ახალ მწერალ ბელეტრისტთა ნაწერები, ჟურნალში სრულიად ახალგაზრდული სული ტრიალებს და ამტკიცებს იმ მოვლენას, რომ დღეს უმაგალითო მღელვარების პერიოდში ქართველი ახალგაზრდობაც იღვიძებს და კეთილშობილურ მოქმედებას იწყებს:

ალმანახში, სხვათა შორის კითხვა, აღძრული ქართველ მგოსანთ შორის „უპირველესის" არჩევისა. აქ ჩვენ გვინდა ვსთქვათ, რომ ეს მეტად საყურადღებო მოვლენაა, თუმცა ასეთ გლოვის ხანაში, როს მთელი ხალხის ბედ-იღბალი თოფ-ზარბაზნის გრიალზე სწყდება ხსენებულ კითხვის აღძვრა თითქოს შეუფერებელია, მაგრამ უნდა გამოვსთქვათ მეორე აზრიც: სწორედ ასეთ არეულობის ხანაში საჭიროა მწერალ-მგოსანთა შეერთებული მედგარი მუშაობა და ერთ-სულოვნება საერთო მიზნის გარშემო.

აღსანიშნავია აგრეთვე გამოსვლა ალმანახის „ცისფერი ყანწებისა". ესეც მოწმობს იმას, რომ არც მეორე ჯგუფი ახალგაზრდობას სძინავს, მაგრამ რამდენად დიდებითია მათი საქმიანობა, ამას თვით მკითხველები დააფასებენ.

ჩვენ არსებითად წინაღმდეგი ვართ მწერლობაში ეროტიულ-ქვენაგრძნობების გალიზიანებისა და ამ მოვლენას ჩვენის მხრით უარყოფით ვეგებებით.

რაც შეეხება ამ ჟურნალში მოთავსებულ ნაწარმოებთ ხელოვნურ ღირსებათ ამის შესახებ თუ საჭიროდ დავინახეთ კვლავ მოვულაპარაკებით ჩვენ მკითხველებს.

ი. დ—ძე.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

საფრანგეთის ასპარეზი.

პარიზი საღამოს ოფიციალი ცნობა. მდინარე საამის აღმოსავლეთით გერმანელები გამანადგურებელ ცეცხლის მფრქვევ იარაღით ეკვეთენ ფრანგთა საველე სიმაგრეებს ბრძოლა მოხდა აგრეთვე უაზთან და ენთან. შამპანის ტყეში ფრანგებმა მოსპეს გერმანელთა მზვერავი—სადარაჯო პუნქტები. ვერდენის სამხრეთით, დღის განმავლობაში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. სივირის ხევში პუავრთან საარტილერიო ბრძოლა გაჩაღდა.

ჰავრი. 28 თებერვალი. გაძლიერებული საარტილერიო ბრძოლაა. მთელი ბელგიის ბრძოლის პირზე, სადაც, სხვათა შორის, ხელით სასროლ ყუმბარებსაც ხმარობენ

კოპენჰაგენი. 27 თებერვალი. გერმანიის იმპერიაში 1916 წ. ბალანსით შემოსავალი ყოფილა 36,592,639 მარკა მხოლოდ გასავალი 33,680,508 მარკა.

ქ. ნოვგოროდი. ნოვგოროდის სამაზრო ერობის საბჭომ დაადგინა, ომში გაწვეულთა ოჯახებს ომის დასრულებამდე ედროვოს მათზე შეწერილი ფულის გადახდა.

რიგა. 29 თებერვალი. რიგის ოლქის სასწავლებელთა მზრუნველმა თხოვნით მიმართა რუსის ჯართა მთავარ-სარდალს, გამოგზავნოს რიგის ოლქის გიმნაზიებში სამხედრო მასწავლებლები, ვარჯიშობის მოსაწყობად.

ათინა. 28 თებერვალი. ბულგარეთ—საბერძნეთის საზღვარზე მომხდარ ინციდენტის გამო, ათინის მთავრობამ ოფიციალი მოხსენებით მიმართა სოფიის მთავრობას, რომელმაც ყოველ შესაძლო ზომის მიღება აღუთქვა.

ოსმალეთი.

სტამბოლი. ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტს მთელი ფრაკიისა და სხვა ადგილების ძალები კავკასიის ასპარეზისკენ გადმოჰყავთ რუსეთის წინსვლის შესაჩერებლათ.

მონღოლეთი.

ურგა. 27 თებერვალი მონღოლეთის მთავრობა თანდათან აბსოლუტური ხდება, მან ყველა სატელეგრაფო სადგური და სხვა დაწესებულები საკუთრებად გამოაცხადა და იქ მომუშავე რუსნი თუ სხვა უცხოელნი სამსახურიდან დაითხოვა.

პოლტავა. 29 თებერვალი. რადგან პოლტავის გუბერნიის დიდძალი გამოქცეული მუშა ხელი აწყდება, ამიტომ განზრახულია, მათი სასოფლო სამეურნეო მიზნით მუშაობა.

პარიზი. 29 თებერვალი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ვერდენთან გერმანელებს ერთი კვირის განმავლობაში დიდი ზარალი მოუვიდათ,—ჰავასის სააგენტოს ცნობით გერმანელებს საომარი მასალა შემოაკლდებათ, ასე რომ, ამ მოკლე ხანში დიდ შემოტევას ვერ დაიწყებენო.

ლონდონი. 28 თებერვალი. ინგლისის საადმირალო იუწყება, რომ დამხმარე კრეისერი „ფუვეტი" ბრიტანიის სანაპიროებთან ნაღმმა ჩასძირა. შემადგენლობა გადაარჩინეს.

კოპენჰაგენი. 28 თებერვალი. ბუდაპეშტიდან იტყობინებიან, რომ ხორვატიასა და სლოვენიაში დიდი მიწის ძვრა იყო. ბევრი შენობა დანგრეულა.

ლონდონი. 28 თებერვალი. ბრიტანიის მთავარ-ჯართა სადგომის ცნობა. საფრანგეთში გერმანელებმა ჰოჰენცოლერნთა რედუტთან ნაღმი ააფეთქეს. ინგლისელებს საგრძნობი ზარალი არ მოსვლიათ.

იტალიის ასპარეზი.

რომი. ბრძოლის პირზე 10 მეტრის სიმაღლე თოვლი მოსულა, რაიც საომარ მოქმედებას აფერხებს. იზონცოსთან გაიმართა ხელით სასროლ ყუმბარებით ბრძოლა, სადაც იტალიელთ ზურგს უმაგრებდა არტილერია.

პროვინციის ცხოვრება.

ზემო იმერეთი. სიმშილმა უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენა სოფლელი გლეხები. ზესტაფონისა, ძირულისა და ხარაგოულის სადგურებზე, დიდძალი ხალხი იყრის თავს და ელიან, როდის მოვა სიმინდი, რომ იყიდონ დამშეული ცოლშვილის გამოსაკვებათ. ლოდინს საზღვარი აღარ აქვს. დილიდან საღამომდის იცდიან სოფლელები და საყიდელ სიმინდსაც კი ვერ შოულობენ. მდგომარეობა სერიოზულია. ხალხს განსაცდელი მოელის. ხსნას კი არსაიდან ელიან. ყველასათვის ცხადია, ცხოვრების დღევანდელი სიდუხჭირე

მივმართავთ ქართველ საქველმოქმედო საზოგადოებას, რომ იგი სასწრაფოდ მოგვეშველოს და დღიურ ლუკმასთან ერთად საშუალება მოგვცეს თესლის შეძენისა, მომავალი წლისთვის მიწები დაუთესავი არ დარჩეს.

ძირულელი გლეხი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში დაბეჭდოთ „სინათლის" საზოგადოების დამხმარე ქალთა კომიტეტის მიერ მიმდინარე წლის 6 იანვარს გამართული საღამოს ანგარიში, რომელსაც ამასთანავე გაახლებთ.

შემოსავალი:

ბილეთების გაყიდვით	1042 მ.	50 კ.
ლატარიისა	125 „	„
პროგრამების, ყვავილების, ჩაის, კომფეტების და შამპანიურის გაყიდვით	214 „	10 „
ვახშამი	755 „	38 „
შემოწირულება	685 „	75 „
ს უ ლ	2850 მ.	73 კ.

გასავალი:

სალიტერატურო-სამუსიკო განყოფილების მონაწილეთ	500 მ.	„
სანოვაგე და ღვინო	416 „	61 „
ლატარიის ნივთები	50 „	„
მარკები	39 „	20 „
მუსიკა	30 „	„
სტამბა და პუბლიკაცია	56 „	„
დეპეშები	14 „	72 „
როიალის მიტან მოტანა და მოწყობა	15 „	„
დარბაზის მოწყობა და სხვა და სხვა წვრილმანი ხარჯი	71	
ს უ ლ	1193 მ.	28 კ.

წმინდა შემოსავალი 1657 მ. 45 კ. გადაეცა „სინათლის" საზოგადოების ხაზინადარს თ. დ. ალექსანდრე ლორთქიფანიძეს. ამავე დროს ქალთა კომიტეტი მოვალეთ სთვლის თავის თავს ულრმესი მადლობა გამოუცხადოს ქვემოდ დასახელებულ პირთ, რომელთაც ფულის და სანოვაგის შემოწირვით ნივთიერი დახმარება აღმოუჩინეს საღამოს.

შემოსწირეს ფულად:

ასი მან.—კნ. ნ. ნ. ჯამბაკურ-ორბელიანისამ. ოცდახუთ ხუთი მან.—თ-მა დ. ი. ნიჟარაძემ, კნ მ. გ. და თ-მა ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანებმა, კნ. დ. ე. მუხრან ბატონისამ და თ-მა ნ. ე. ქობულოვმა, ბ. ფ. ზდანოვიჩმა, ნესტორ ქვარიანმა. თხუთმეტ თხუთმეტი მან.—ბარონ მეიენდორფის მეუღლემ ბარ. ბარბარე მიხეილ შერვაშიძის ასულმა, ბ. ქ. ალშაბაიამ თითო თუმანი: თ. ი. მ. ნაქაშვანმა, დავით ხელთუფლიშვილმა, სპ. ს. გორსალაძემ, თ. მქი ფალავამ, ეპისკოპოზმა გიორგიმ, ექიმმა მელიქმა, ქ. ნატალია ჭოლოშვილისამ, გალაქტიონ ტყემალაძემ, ქ. ნინო მაჩაბლიძისამ, თ. გიგო ერისთავმა, ივანე ქავთარაძემ, იოსებ ოცხელმა ი. ი. ზურაბიშვილმა, ს. დ. ჯაფარიძემ, კონდრატე მხეიძემ, თ. ნ. ნ. დადიანმა, თ. სამსონ ბელოვანმა. შვიდი მან. ელისაბედ და გაბრიელ გოკიელებმა. ექვსი მან. ქ. მარიამ გოკიელისამ ხუთი მან. და 15 კ. სამსონ კილაძემ. ხუთ ხუთი მან. ქ. ელისაბედ სტეფანოვისამ, გალ. ა. ლორთქიფანიძემ, ნ. ა. ფედოროვმა, ა. მ. გედევანოვმა, სტეფანე ფარალოვმა, ვ. ა. დემიდოვმა, ქ. შ. ა. დაფქვიაშვილმა, თ-მა ერმოლო გელოვანმა, პრანც მიურატმა, კ. ნ. ქუთათელაძემ, ვ. ი. ტერ გრიგორიანცმა, ნოე მხეიძემ, დ. ნ. ლორთქიფანიძემ, ვ. ნ. ბერიძემ, კ. კ. ტრესკინმა, თ. ე. კატლევსკიმ, დ. ნ. ქუთათელაძემ, ი. ს. დვალაძემ, ჯაჯუ ჯორჯიკიამ, კნ. მ. ი. წერეთლისამ, კნ. ნ. მ. თავდგირიძისამ, კნ. ე. ბ. აბაშიძე ერისთავისამ, რაჟდენ დათეშიძემ, გლ. აბულაძემ, კონსტანტინე აგიაშვილმა, ივანე ქუთელიამ, ვ. ა. თუმანიშვილმა, თ. სანდრო ლორთქიფანიძემ, თ. ივანე ნიჟარაძემ, ე. მ. კრონიცკამ, თ დათიკო მიქელაძემ, სიმონ ქვარიანმა და კუზანოვმა. სამი მან. და ათი შაური: მიხეილ ქუთათელაძემ, სამ სამი მანეთი: მარიამ ნანეიშვილისამ, ალექსანდრა კერესელიძისამ, მარიამ ჩოგოვაძისამ, ივანე ბექაიამ, ე. ა. ხოჯევანოვისამ, ნ. ა. ჯორჯიკიასამ, კნ. ნ. ა. წერეთლისამ, მ. ლ. ქუთათელაძისამ, მ. დ. ლორთქიფანიძემ, ბ. ზ. მაჭავარიანისამ, ელენე და აგნესა თუმანიშვილის ასულებმა, თ. ს. ნ. ლორთქიფანიძემ, სიმონ მარამუნიძემ, ნიკიფორე ჯანელიძემ, გ. მ. ხოშტარიამ, თ. გ. დ. წერეთელმა, კნ. ოლღა წულუკიძისამ, იოსებ ქუთათელაძემ. ორ ორი მან.—ა. გ. ცეიტლინმა, ის. გაგანიშვილმა და მარ. შანიძისამ თითო მან. და ათი შაური: დავით ნაზაროვმა, თურქიამ და გაგუამ. ერთი მან.: ბუაჩიძემ და სხვადასხვა პირთაგან წვრილ წვრილად 8 მან. 10 კ.

სანოვაგე შემოსწირეს:

მ. ანაცოვმა, რაჟდენ ბუაძემ, ელისაბედ ბარათაშვილისამ, ქ. გაბუნიასამ, ოლღა გეგეჭკორისამ, მარიამ გოკიელისამ, ცეცუნია გელოვანის ასულმა, ელისაბედ გოკიელისამ, ძმათა გრიგოლაშვილებმა, მართა დათეშიძისამ, მარიამ თუმანიშვილისამ, კნ. ა. ო. ერისთავისამ, ივანე კილაძემ, ოლღა კორძაიასამ, ოლღა კოსტავასამ, გიორგი კერესელიძემ, კნ. თედოსი ლორთქიფანიძის ასულმა, მიტროფანე ლადიძემ, ნადეჟდა მდივანისამ, თამარ მდივანისამ, თ. ბონდო მიქელაძემ, ნატალია მთავრიშვილისამ, სოფიო მაჭავარიანისამ, გიორგი სვანიძემ, მარგარიტა საყვარელიძისამ, პავლე უზნაძემ, ნინო ფანცხავასამ, ნინო ფაჩულიასამ, ფილ. ფილიპოვმა, ქალთა წრემ, ნინო ხელთუფლიშვილის ასულმა, კნ ოლღა ხიდაშელიშვილისამ, სამეურნეო სკოლამ, პავლე ჩაკვეტაძემ, მარგარიტა ჭილაძისამ, მარიამ ანჯაფარიძისამ და თეკლე აბაშიძისამ.

ქ ბბ. ქეთევან ყიფიანისამ და ნინო წერეთლისამ შემოსწირეს ყვავილები.

კომიტეტი აგრეთვე უღრმეს მადლობას სწირავს: საზოგადო საკრებულოს მამასახლისთა საბჭოს დარბაზის უფასოდ დათმობისათვის, ქ. ბარბარე კვირკველიასას როიალის თხოვებისათვის, ქ ბბ. ბარბარე აღშაბაიასას, მელანია გველესიანისას და ელენე ჩიქოვანისას ჩაის მაგიდის თავიანთი ხარჯით მოწყობისათვის, ქ ბბ. ე. მ. ფრიკისას, ვერა ერისთავის ასულს და კნ. ოლღა სიდამბეგიშვილისას კომფეტების, ყვავილების და ლოტერეის ბილეთების გაყიდვისათვის, ქ-ბბ. ელისაბედ სტეფანოვისას და მარიამ თავაიშვილისას და ბბ: სამსონ დათეშიძეს ალ. ნიჟაძეს, ივ. საყვარელიძეს და მელ. დოლაბერიძეს ვახშმის გამგებლობისათვის, ქ ბბ. „კალნერშებს", პროგრამების დამხატველებს, [illegible] წაკითხვაში მონაწილეობის მიღებისათვის, [illegible] რეპერტუარს აკაკი ფალავას, დ. უზნაძეს და მოთა დადიანებს [illegible] ლოლაძეს; დავით [illegible] ყოფილებაში მონაწილეობის მიღებისათვის და ბბ: თამა მთავრიშვილს და სამსონ [illegible] კასრობისათვის, ბ. ა. შარაშიძეს დარბაზის მოწყობისათვის და ბ ნ შარაბიძეს [illegible] გამართვისათვის.

საღამოს გამგენი: თეკლე აბაშიძე,
მარიამ ანჯაფარიძე

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლ

რკინის გზის მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან — დილის — 5 ს. 59
„ — საღამ.—6 ს. 57
ბათომიდან — დილით —1 ს. 35
„ — ღამის — 2 ს. 38
ფოთიდან — დილის —10 ს. 8
ტყიბულიდან—საღამოს — 7 ს. 39
შორაპნიდან — დილის — 9 ს. 18

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისაკენ—დილის — 11 ს. 55
„ — ღამის — 1 ს. 7
ბათომისაკენ — დილით—5 ს. 30
„ — დილის — 4 ს. 27
ფოთისკენ —დილით — 4 ს. 27
ტყიბულისკენ— დილის — 6 ს. 20
შორაპნისაკენ—დილით.— 5 ს. —

საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ გავხსენი სააგენტო დამზღვევ (სტრახ
საზოგადოება

„რუსეთი" („როსსია")

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევისაგ
პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-
ნაშუადღევის 1 საათ და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვ
კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალ
ქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლ
მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26.
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

7 თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერ**

ქუთაისი.

ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში

(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი).

მიღებულია ვენახის ასაკრავი საუკ
ქილი. იქვე იყიდება ყოველგვარი საბაკალეიო
ქონელი. ფასები ყველაფერზე ზომიერია.

სიფილისი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე-ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებული საშუალებების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ. სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარ შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინაღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინაღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გულსა და შხამს, რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების მხედველობის და სმენის სისუსტეს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხერხემლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. სიფარშივის თავიდან ასაცილებათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის" განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 5 მან. წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ. (წლიური)

[illegible] სტამბა ალ. კობ[illegible]—ქუთაისში

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.